№69 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, 2016 წლის თებერვალი-დეკემბრის თვეების განმავლობაში, საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენა-ბაზრობებზე (საერთაშორისო გამოფენების ჩამონათვალი დანართის შესაბამისად) მონაწილეობასთან, საქართველოს კომპლექსური სარეკლამო კამპანიების წარმოებასთან, პრეზენტაციების გამართვასა და სხვადასხვა სახის საპრომოციო/საინფორმაციო აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული, დანართით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებებისა და საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ, არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-11-მე-13 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 18 იანვრის
№69 განკარგულების
დანართი

1. საერთაშორისო გამოფენები

1. IMTM, თელავივი, ისრაელი - თებერვალი
2. Balttour, რიგა, ლატვია - თებერვალი
3. ITB, ბერლინი, გერმანია - მარტი
4. UITT, კიევი, უკრაინა - მარტი-აპრილი
5. AITF, ბაქო, აზერბაიჯანი - აპრილი
6. IMEX, ფრანკფურტი, გერმანია - აპრილი
7. KITF, ალმა-ატა, ყაზახეთი - აპრილი
8. ATM, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები - აპრილი
9. COTTM, პეკინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა - აპრილი
10. KOTFA, სეული, კორეა - ივნისი
11. OTDYKH International Russian Travel, Market, მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია - სექტემბერი
12. JATA , ტოკიო, იაპონია - სექტემბერი
13. TTG, რიმინი, იტალია - ოქტომბერი
14. WTM, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი - ნოემბერი
15. EIBTM, ბარსელონა, ესპანეთის სამეფო - ნოემბერი
16. TT WARSAW, ვარშავა, პოლონეთი - ნოემბერი.

2. შესასყიდი საქონელი და მომსახურება

საგამოფენო სტენდის დიზაინის შექმნის მომსახურება;

საგამოფენო სტენდის აგების მომსახურება;

სტენდის აღჭურვილობის დაქირავება;

სახელოვნებო მომსახურებები (კონცერტი, შოუ და სხვა);

გამოფენის ფარგლებში, პრესკონფერენციების, პრეზენტაციების მოწყობა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა;

ქართული ღვინის შესყიდვა და ადგილზე მიწოდება;

ტელე-რეკლამა;

ინტერნეტ-რეკლამა;

რადიო-რეკლამა;

რეკლამა კინოთეატრებში;

ვიდეო-რგოლის დამზადება; ფოტო გადაღება;

ბეჭდვითი რეკლამა (რეკლამა რეიტინგულ ჟურნალ-გაზეთებში, საბორტე ჟურნალებში, კორპორატიულ გამოცემებში და სხვა);

გარე რეკლამა (ბილბორდებისა და ბანერების, კონსტრუქციების დამზადება, დაბეჭდვა და განთავსება, LED მონიტორებზე რეკლამის განთავსება და სხვა);

რეკლამის გავრცელება საზოგადოებრივი ტრანსპორტით;

საპრომოციო მასალისთვის/ვებ-გვერდისთვის ტექსტების შექმნა, რედაქტირება და თარგმნა;

თარჯიმნის მომსახურება;

საქართველოს კუთხის/საქართველოს საინფორმაციო დახლის (დროებითი ან მუდმივი კონსტრუქციები) შესყიდვა;

პროგრამული მომსახურების უზრუნველყოფა ინტერნეტისთვის (ინტ. აპლიკაცია);

სარეკლამო/მარკეტინგული კამპანიის ორგანიზების მომსახურება.